ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 17 მაისის სხდომის

ოქმი #3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 17 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ
2. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ
3. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თემების დამტკიცების შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ცვლილებები ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამა „ქიმიაში", რომელიც ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა 2019 წლის 21 მარტს. კერძოდ, პროგრამაში შევიდა 2 ძირითადი ცვლილება (იხ. დანართები 1.1-1.2):
   - ცვლილება მისანიჭებელ კვალიფიკაციაში: ნაცვლად „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში" კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ კვლაიფიკაცია „მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში". ცვლილება დაკავშირებულია სწავლის სფეროების განახლებული კლასიფიკატორის ძალაში შესვლასთან;
   - პროგრამის ზოგადი განათლების კურსებს დაემატა 3 კურსი: „კომპიუტერული წიგნიერება", „ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის (საწყისი დონე)", „ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის - პრაქტიკული კურსი ქართულ ზმნაში (წინასაშუალო დონე)". აღნიშნული კურსების დამატება მოხდა პროგრამის განვითარების კომიტეტის რჩევით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილება ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: შევიდეს შემდეგი ცვლილებები ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2019 წლის 21 მარტს დამტკიცებულ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (იხ. დანართები 1.1-1.2):

- მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვროს „მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში“ ნაცვლად კვალიფიკაციისა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში“;
- პროგრამის ზოგადი განათლების კურსებს დაემატოს 3 კურსი: „კომპიუტერული წიგნიერება“, „ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის (საწყისი დონე)“, „ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის - პრაქტიკული კურსი ქართულ ზმნაში (წინასაშუალო დონე)".

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეშვიდე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციის ვადებად დადგინდეს 2019 წლის 22-26 ივლისი (საგამოცდო პერიოდის ბოლო კვირა).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ბ. თუთბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პერიოდი ემთხვევა გეოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო-საველე და პროფესიულ პრაქტიკებს. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება, თუ კონფერენციის ვადებს შევცვლით. ვინაიდან სხვებისთვის აღნიშნული ვადები მისაღები იყო, მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ, რომ კონფერენციის ვადა გაიზარდოს ერთი კვირით და იყოს 15-26 ივლისი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეშვიდე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციის ვადებად დადგინდეს 2019 წლის 15-26 ივლისი.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო თემების წინა სხდომაზე დამტკიცებული ჩამონათვალი შეივსო ახალი თემებით, არსებული კი განახლდა. ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა თემების განახლებული სია (იხ. დანართები 2). გარდა ამისა, მან დასამტკიცებლად წარმოადგინა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების სადოქტორო თემები და ხელმძღვანელები (იხ. დანართი 3).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამაგისტრო და საბაკალავრო თემების განახლებული და შევსებული სიების, აგრეთვე დოქტორანტთა სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცების საკითხი (იხ. დანართები 2 და 3).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სამაგისტრო და საბაკალავრო თემები (იხ. დანართი 2), აგრეთვე მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა ხელმძღვანელები და წარმოდგენილი სადოქტორო თემები (იხ. დანართი 3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

4.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშვებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ;

4.2. სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" დოქტორანტ არჩილ დურგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენის შესახებ;

4.3. ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4.1 მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ასოცირებული პროფესორის თამარ ჭელიძის ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშვებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ. თ.ჭელიძემ განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნულ კომიტეტში შედიან სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთმა მათგანმა დაამთავრა შესაბამისი საფეხური, იგი უნდა ჩანაცვლდეს სხვა სტუდენტით. თ. ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დეპარტამენტის/პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები (იხ. დანართი 4). გარდა ამისა, ხარისხის სამსახურის უფროსის ცვლილების გამო, რიგ კომიტეტებში ყოფილი უფროსის მაგდა ალანიას ნაცვლად უნდა იყოს ახლანდელი უფროსი თ. ჭელიძე .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ცვლილებები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში (იხ. დანართი 4).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

4.1. დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში და იგი დამტკიცდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 4).

4.2. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ასოცირებული პროფესორის თამარ ჭელიძის ინფორმაცია სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" დოქტორანტ არჩილ დურგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენის შესახებ.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტმა არჩილ დურგლიშვილმა სადისერტაციო ნაშრომის დიდი ნაწილი შეასრულა ცერნის კვლევით ცენტრში და მისი მეორე ხელმძღვანელი არის ცერნის მეცნიერ-თანამშრომელი, რამაც განაპირობა ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

4.2. დაადგინეს: სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის“ დოქტორანტ არჩილ დურგლიშვილს ნება დაერთოს სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე.

4.3. მოისმინეს: ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის საერთო კრების გადაწყვეტილების (იხ. დანართი 5) საფუძველზე ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახელება უნდა შეიცვალოს ახალი დასახელებით „აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტი“. ამისთვის საჭირო გახდება ფაკულტეტის საბჭოს თანხმობა და დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა აირჩიეს ახალი დირექტორი და სურთ, რომ ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს იგი.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ა.შენგელაიამ. იგი ამავე დროს არის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარე. ბატონმა ა.შენგელაიამ წამოაყენა წინადადება, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში პერსონალის და/ან ხელმძღვანელის ცვლილება, მიზანშეწონილია სტრუქტურული ერთეულების კომისიამ წინასწარ განიხილოს, რაზეც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელების შეცვლის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

4.3. დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულების 35 მუხლის თ) პუნქტში და ჩანაწერი „ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ შეიცვალოს სიტყვებით „აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტი“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი